ლესობა ამ კაპიტალისტების მიერ იყვლიფებოდეს და ექსპლოატაციას განიცდიდეს. ეს კი რჩევაა არა მოკეთისა არამედ სრულებით „გულციფი ადამიანი". მართლაც, ასე რომ მოიქცეს ჩვენი მთავრობა, იგი იმ დღიდანვე თავის თავს გაკონტრრევოლუციონურებულად გამოაცხადებს და იგი მტერი იქნება თავისი ერისა.

თქვენო, ფუძნება კარლ კაუცკი ჩვენ მთავრობას, ნაციონალიზაცია გააჩერეთ: „ამაზე შორს წასვლა თქვენ გაგიჭირდებათ, სანამ დასავლეთ ევროპას არ მოუცია მაგალითი სოციალიზმის განხორციელების საქმეშიო". თქვენ ამით უნდა დაკმაყოფილდეთ, რადგან სხვა გვარი თქვენი მოქმედება დობეყორეს მოდება იქნება და ცუდლუტიო, ვინაიდან „მარქსის თეორიას არ შეესაბამება ის შეხედულება, თითქოს ჩამორჩენილ ერს შეეძლოს სოციალური განვითარების მაგალითი და გზა უჩვენოს ეკონომიურად დაწინაურებულ ერებსო". „მარქსმავე დაამტკიცა, რომ შეუძლებელია გადაახტე განვითარებისთვის აუცილებელ საფეხურს და, რომ სოციალიზმისათვის კაპიტალიზმი ხწორედ ისეთ წინასწარ საფეხურს შეადგენსო". „ეკონომიურათ ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორიცაა საქართველო, ევროპას ვერ გაუსწრებს და ვერ უწინამძღვრებს წარმოების უმაღლეს ფორმების შექმნაში, პირიქით მან უნდა ისარგებლოს ევროპის წინამძღოლობითო". ასეთი მოსაზრების ერთად-ერთი ლოღიკური დასკვნა ის იქნება, რომ ჭეშმარიტათ ადვილარით, რომ ჩვენმა „სოციალისტურმა" მთავრობამ უნდა დაამყაროს, განამტკიცოს და გააძლიეროს კაპიტალიზმი, რადგან იგი ჩვენში არ არის და რადგან იგი ამასთანავე წინასწარსა და მიუცილებელ საფეხურს წარმოადგენს სოციალიზმისათვის. „რუსეთშიო, გვასწავლის კაუცკი, მატერიალურმა პირობებმა რევოლიუციონურ მოძრაობას ბურჟუაზიული მიზნები დაუსახაო". და თუ ეს სავალდებულოა რუსეთისათვის, მით უფრო სავალდებულო უნდა იქნეს საქართველოსთვის, სადაც კაპიტალიზმის ნასახიც კი არ მოიპოვებოდა რუსეთთან შედარებით.

აი, რას ეუბნება და რას ურჩევს კაუცკი ჩვენს „სოციალისტურ" მთავრობას. ამას თუ დავიჯერებთ, უნდა გადაჭრით მოვითხოვოთ, რომ ჩვენი „სოციალისტური" მთავრობა დაუხანებლივ და სწრაფის სიჩქარით უნდა შეუდგეს კაპიტალისტების მოწვევას, მათ ფარფაშობას დახმარება აღმოუჩინოს და მათ ხება-სურვილებს შეეწყოს და შეებმატკბილოს. თუ ეს ასე იქნება მაშინ ჩვენმა „სოციალისტურმა" მთავრობამ სოციალიზმის ნიღაბი უნდა მოიგლიჯოს და შეიქნეს წმინდა წყლის ბურჟუაზიულ მთავრობათ. ეს თუ ასეა, მაშინ ცხადია, რომ ჩვენს მთავრობაში სოციალისტს, თუ კი იგი შუბლ-მოჯეცხილი არ იქნება, ადგილი არ უნდა ჰქნეს. მაშინ კოალიციონური მთავრობაც შეუსაბამო იქნება, და ეს მთავრობა უნდა ჩაბარდეს სპირიდონ კედიას პარტიას. რაც მალე მოხდება ეს, მით უფრო მალე დაედგება მალამო ჩვენს ცხოვრებას. აი ეს არის ის რეცეპტი, რომელიც კაუცკიმ, ტიბეტური მისნობის ამ დოქტორმა გამოუწერა ჩვენს მთავრობას. შესწევს კი გაბედულება ან მოიწონება ჩვენს მთავრობას, ეს ან დაიჯეროს, ან განახორციელოს? არც შესწევს და არც შეუძლია.

მაშ რას იწუხებდა თავს კაუცკი და ამისთვის წიგნაკს სწერდა? ერთად-ერთი პასუხი ის არის, რომ კაუცკი შეაწუხეს ამხანაგებმა, რაიმე დაწერე ჩვენს გენიოსობაზეო, მანაც ეს შეასრულა და უთხრა ის, რაც უნდა ეთქვა თავისი თეორიის აღმსარებელსა და მთაყვანებელს. ეს თქვა და თავი ამით დაიკმაყოფილა. მაგრამ ამის თქმა კი მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ კაუცკიცა და იმის თეორიაც გაზიაბრუებულია ცხოვრების ახალი მოვლენებით და ეს თეორია გაყალბებულია. კარლ კაუცკი კი გაბრუებულია ამ ახალ მოვლენათა ხილვით, იგი დაბნეულია და გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება.

ი. ფანცხავა.

(დასასრული იქნება)

# ზაქარია ჭიჭინაძე—ქართული კულტურის მოჭირნახულე

ქართული კულტურის მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში არავინ მოიპოვება ისეთი მოღვაწე, რომ შეიძლებოდეს უწოდოთ უფრო ქართული კულტურის მოჭირნახულე. თუ ვინმეა ისეთი ღვაწლ-მოსილი პიროვნება, იგია მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძე. მეთვრამეტე საუკუნის ისტორიაში იმას უდრის ვახტანგ მეექვსე, მაგრამ უპირატესობა ზაქარიას ეკუთვნის მაინც. როცა ვახტანგ ქართული კულტურის საქმეში ნაშირად მბრძანებელი იყო, როგორც მეფე მაგ. სხვას აბეჭდვინებდა წიგნებს და ზოგჯერ თვით მუშაობდა, როგორც მეცნიერ-მწერალი, ზაქარია ჭიჭინაძე თვითონ იყო ამწყობი, თვითონვე ბეჭდავდა, როგორც ძველი თუ ახალი მწერლობის ძეგლებს, ისევე თავის საკუთარ ნაწარმოებსაც და თვითონვე, როგორც ბუკინისტი,ავრცელებდა ხალხში არა მარტო დედაქალაქში, არამედ პროვინციაშიაც. ზოგჯერ განსაცდელშიაც ჩავარდნილა ჩვენი ზაქარია ზურგზე ქართულ წიგნებ მოკიდებული სამუსლიმანო საქართველოში, რადგანაც ოსმალეთის, თუ რუსეთის მთავრობისაგან საეჭვო აგენტად მიჩნეული შექმნილა, მოგეხსენებათ, რომ ოსმალეთის პოლიტიკას, რომელიც ქართულ კულტურას აჩანაგებდა სამუსლიმანო საქართველოში, რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ კვერი დაუკრა და ჩაიგდო თუ არა ხელში ეს ქვეყანა, ერთგულად შეუდგა მუსლიმან ქართველთ გათურქებას, რომ ქრისტიანი ქართველობა არ გაუბედურებულიყო.

არც ერთი საკითხი აღძრულა ქართულ მწერლობაში ისეთი, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს ან წერილი არ ეძღვნას რომელსამე გაზეთში, ან მონოგრაფია არ დაეწეროს იმ საკითხის გამო. მაგრამ სამუსლიმანო საქართველოს შემდეგ ჩვენს ზაქარიას ყველაზე უფრო შესტკიოდა გული მუსლიმან ქართველთათვის, რომელთაც ზნე ჩვეულების. ზღაპრისიტყვაობის, გამუსლიმანების შესწავლას უძღვნა რამდენიმე წიგნი. მისმა მოღვაწეობამ წამახალისა მეც და ვსთარგმნე ქართულად მუჰამედის ყურანი. არც უნაყოფოდ ჩაუვლია ჩემს შრომას, სხვა ქართულ წიგნთან ერთად ისიც, აუარებელათ გაავრცელა ზაქარიამ ქართველ მუსლიმანებში.

თუ შეიძლება ითქვას, ზაქარია ჭიჭინაძე ჩვენი ისტორიის ჭიჭიტანაშიაც, ვით დობე მძღვრადა ახერხებდა შეძენას და გამოქვეყნებას ისეთი ამბებისას, რომლის არსებობაც მანამდე არავის ეგონა. ასეთი იყო მაგ. საკითხი ერეკლე მეფის და გიორგი მე-13-ის დროის საქართველოს რესპუბლიკის დაარსებისა, რომელსაც თაოსნობდნენ, სხვათა შორის, მაშინდელი კათოლიკე პატრები. ზაქარიას დაბეჭდილ-გამოცემული წიგნი იმდენია, რომ მათი აღრიცხვა სხვას კი არა, თვით მათ პატრონ გამომცემელსაც კი გაუჭირდება. ზაქარია ჭიჭინაძე ცხოველი მატიანე არის ქართველთ მეცხრამეტე საუკუნის კულტურის განვითარებისა. სხვა უფრო განათლებულ ქვეყანაში ისეთ პიროვნებას, როგორიც არის ზაქარია ჭიჭინაძე, ყოველნაირად უზრუნველყოფენ, რომ თავის თანამედროვეთა ცხოვრების მემატიანე სწეროს. ჩვენ კი გულგრილად შევსცქერით მის თუ მეტის არა ნახევარი საუკუნის უანგარო საკულტურო მოღვაწეობას. ქართულ წიგნს იმაზე უფრო ერთგული მეგობარი იშვიათად გამოსჩენია. როცა ზაქარია მოღვაწეობდა, საქართველოში კოოპერატივ-კოლექტივები ჩანასახადაც არ ყოფილა. სწორედ საკვირველია, როგორ ახერხებდა ერთი კაცი იმდენი წიგნის ბეჭდვას და გავრცელებას. თუ ოდესმე ყოფილა ვინმე ნამდვილი პროლეტარი, ზაქარია ჭიჭინაძე მისი ნამდვილი ცხოველი განსახიერება არის, რადგანაც ჩვენი ზაქარია მშობელი პროლეტარიატის სუვერენობას და მის დამოუკიდებელ პოლიტიკურ კულტურულ განვითარებას ყოველის უმაღლესად სთვლის. სიამე ცხოვრებისა მას არ უნახავს. ეხლა მაინც მივხედოთ ამ ნახევარი საუკუნის საკულტურო მოღვაწეობით მოქანცულს გასაწყლებულ მუშაკს და მივსცეთ ღონისძიება, რომ უკანასკნელი დღენი თავისი ცხოვრებისა დღეის შემდეგ, რომ ამგვარ დაუღალავ მშრომელ ერმა, ბატონის მიერ დევნილი მამის შვილს ვათქმევინოთ, რომ სოფელმა ზოგჯერ გაჭირვებაც იცის და კეთილისთვის ავს არ მიუზღავს მის მოქმედებას.

რაც ჭირი გადაუხდია ზაქარიას, როგორც ქართველ კულტურ ტრეგერს, დღეს ლხინად უნდა შეეცვალოს.

მაშინ ლხინი ამო არის,
რა გადახდეს კაცი ჭირსაო,
სთქვა დიდმა რუსთველმა და ლხინი იგი უნდა იქმნეს ზაქარიასთვის მისი 50 წლის იუბილე, რომელიც უნდა გადაუხადოს ქართველმა ერმა.

მრავალ ჟამიერ, ვაშა
მხცოვან ზაქარიასა!

პეტრე მირიანაშვილი.

# ახალი ამბები

— ბირჟა. უცხოეთის ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზედ 31 იანვარს (ათას მანეთებში):

| | |
|---|---|
| სტერლინგი | 1500 |
| ფრან. ფრანკი | 30 |
| იტალ. ლირა | 18 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 247 |
| ოქრო (10 მან) | 1750 |
| „ (ლირა) | 1520 |
| დოლარი | 368 |
| გერმანული მარკა | 2,7 |
| 1000 მ. ნიკოლ. 100 მ. | 445 |
| „ „ 500 მ. | 280 |
| ადერბეიჯანის | 65% |

უცხოეთის ვალიუტის კურსი ბათომში 30 იანვარს (ათას მანეთებში):

| | |
|---|---|
| სტერლინგი | 1420 |
| ფრანკ. ფრანკი | 23,5 |
| იტალ. ლირა | 14 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 230 |
| ოქრო (10 მ.) | 1645 |
| ოქრო (ლირა) | 1400 |
| დოლლარი | 355 |
| გერმ. | 2 |

# რუსეთი

გენუას გარშემო.

მოსკოვი. ლონდონიდან გვატყობინებენ: ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, გენუას კონფერენცია აუცილებლად შესდგება. ამერიკის მოთხოვნილება იძულებულ ყოფს საფრანგეთს შესცვალოს თავისი მილიტარული პოზიცია, რის შემდეგაც შეერთებული შტატები მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციაზე.

მოსკოვი. სოფიაში დაიწყო მოქმედება ვრანგელის ახალმა შტაბმა, რომელსაც მიზნათ აქვს შექმნას ახალი ანტი-ბოლშევიკური არმია.

მოსკოვი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ქემალისტებს განზრახული აქვთ დაიწყონ მარტიდან ახალი შეტევები.

მოსკოვი. მიმდინარე წლის უკანასკნელ ძეოთხედში წუმწუმის ქარხანამ „ფაკელმა" ეკატერინბურგში დაამუშავა 7,800 ყუთი წუმწუმა ე. ი. შეასრულა 118 პროც. დაკვეთილი მასალისა.

მოსკოვი. პენზის გუბერნიის ზოლოტარევის მაუდის ქარხანა, რომელიც გაჩერებული იყო 4 წლის განმავლობაში უკვე ამუშავდა.

მოსკოვი. რუსეთ-ესტონეთის კოოპერატიული ბანკის ორგანიზაცია უკვე შემჩნეულია. საგარეო ვაჭრობის რევოლის განყოფილების პროექტი უკვე გადაეცა განსახილველად სახელმწიფო ბანკს. ბანკის დამფუძნებლად უნდა იყოს კოოპერატიული ცენტრები და აგრეთვე ესტონეთის და ბალტიის ზღვის კოოპერატივები, საზღვარ გარეთელი ფირმები და კერძო პირები. ძირითადი კაპიტალი უდრის 5 მილიონ ოქროს მანეთს. რუსეთის კოოპერატიულ ცენტრებს შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა კაპიტალის 40 პროცენტში სახელმწიფო ბანკს კი 20 პროცენტში.

ესტონეთის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მინისტრ რეინინგის სახით განაცხადა სურვილი მიიღოს მონაწილეობა ბანკის შექმნაში.

მოსკოვი. აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობაზე ამხ. ზინოვიევი გამოსთქვამს დიდ აღტაცებას ჩინეთის განცხადების გამო რევოლიუციონური მონგოლეთის დამოუკიდებელი არსებობის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ერებმა შეიგნეს, რომ ჩვენ მივდივართ სწორი გზით—ევროპის ზოგიერთ მუშებზე უფრო კარგად გაიგეს მათ იმპერიალიზმის ბუნება და ზოგიერთი მათგანი კი გაუწევს დიდ წინამძღოლობას რევოლიუციონურ ბრძოლაში აღმოსავლეთის ერებს.

კოლონიალური პოლიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. საფაროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღმოსავლეთი იზიდავს მსოფლიოს იმპერიალისტებს თავისი ნედლი მასალის სიუხვით და მუშა ხელის სიიაფით. მან აღნიშნა აგრეთვე თუ, როგორ ცინიურად ჰსურს იაპონიას დაიპყროს ჩინეთი. მთავარი ამოცანა ჩინეთის მშრომელთა გამოიხატება იმაში, რომ დაამხოს უცხოეთის რეჟიმი. იაპონიის მუშათა კლასი არის წინამძღოლი ძალა აღმოსავლეთის რევოლიუციისა. მხოლოდ კომინტერნის ორიენტაცია დაიხსნის აღმოსავლეთის მაშვრალთ კორეიისას, ჩინეთისას, მანჯურიისას, და მონგოლეთისას და დაეხმარება მათ ნაციონალურ განთავისუფლების ბრძოლაში.

# თ. რაზიკაშვილის მოკვლა

ცნობილი მწე[illegible]საზოგადო მოღვაწის, თედო რაზიკაშვილის მკვლელის შესახებ რედაქციას მოუვიდა შემდეგი ცნობები: სოფ. ხელთუბანში, სადაც ცხოვრობდა განსვენებული მწერალი, მას ამხედრებია ზოგიერთი საეჭვო პირები და დაუწყვიათ მისი დაუნოგველი დევნა—და შევიწროება. გასული წლის ნოემბერში ვიღაცებმა გაუხრწეს მას ჯეჯილი. შემდეგ მოსაკლავად დახვედრია გზაში ვანო ფალელაშვილი, ძმა ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარისა, მაგრამ თედო გადარჩენილა შემთხვევით, მის საჩივარს რევკომში ვერ გაუჭრია და შეურაცყოფაც მიუყენებიათ, ვინაიდან ძმის ადგილი რევკომში დაუჭერია თვით დამნაშავს.

შემდეგ განსვენებულს მიუმართავს მეჯვრისხევის რაიონის რევკომის თავმჯდომარისათვის, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოსულა.

რამდენიმე ხნის შემდეგ განსვენებულს მოჰპარეს 21 სკა ფუტკარი თაფლით, შინაური ფრინველები და ბოლოს სულ რამდენიმე ხნის წინად დაუწვეს თივა.

განსვენებულს უჩივლია როგორც ადგილობრივ, ისე გორის პოლიტბიუროში, მაგრამ ვერას გამხდარა, ვინაიდან ნაჩვენები ქურდები მოწმეებს შიშით ვერ დაუდასტურებიათ.

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა ქურდები უფრო გათამამებულან. განსვენებულს მიუმართავს ადგილობრივ და სამაზრო რევოლიუციურ ორგანოებისათვის, მაგრამ რადგანაც მანქანებით, აქაც ვერაფერს გამხდარა, მაგალითად გორის „ჩეკას" დაუპატიმრებია ბრალდებულები (ოსეფა, ვანია და ლექსია ფალელაშვილები, გიორგი ვალიშვილი, და ვანია შავთხაშვილი) მაგრამ უწყება ერთის მეტს არ მიუღია და არც გამოცხადებულან.

განსვენებულს ხშირად აფრთხილებდნენ თურმე, რომ ფალელაშვილებმა მკვლელი დაგინიშნესო და გარედ ნუ გამოხვალო. განსვენებულიც ფრთხილად იყო და მოელოდა, რომ ბოროტ-მოქმედნი დილხანს ვერ ითმენდნენ, მაგრამ ა. წ. იანვრის 19 მაინც მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. ნათლიდებას თედო რაზიკაშვილი დაუპატიჟნია ნათლიმამას დათიკა შავთხაშვილს, საიდანაც კარგად ხასვამი სახლში წამოსულა ადამის ძმის ქვისლთან, შაქრო გაგნიძესთან ერთად. მოდიოდნენ სიცილით და ხმაურით. გზა რევკომს ჩაუვლი და შესულან კიდეც. იქ, მისალმებიან იქ მყოფ არტემ ფალელაშვილს და მუსაიფი გაუმართავთ. შემოსულა რევკომში ლექსია ფალელაშვილი და წამლაპარაკებია თედოს, რად წამიყვანეთ მეჯვრისხევში ამას წინადო და აგინება დაუწყვია. ამ დროს გაისმა სროლა. არ იციან ვინ ისროლა უცბად. მაგრამ მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა არტემ ფალელაშვილი და მსუბუქად ლექ[illegible] [illegible] კი გაღლეებული დაბრუნებულა სახლში და ცოლის კითხვაზე—„რა მოგივიდაო?" ვერ უპასუხნია. იმეორებდა თურმე: ნუ თუ მე კაც[illegible] იყო დაუმშვიდებიათ და დაუწვენიათ. ცოტა ხნის შემდეგ [illegible] ლი ხალხი შახნაზაროვის და კ. თუმანიანის წინამძღოლობით, გადმოუძრევიათ ლოგინიდან ლანძღვა-გინებით და იქვე უნდა მოეკლათ, მაგრამ ცოლის თხოვნით აღარ მოუკლავთ, პირობაც კი მიუციათ მთავრობას გადავსცემთო, მაგრამ გადაუციათ ფალელაშვილებისათვის, რომელთაც ხანჯლებით და დანით აუკუწავთ და წამებით მოუკლავთ. ამის შემდეგ ადგილობრივ რევკომს ნება არ მიუცია მიცვალებულის დასაფლავებისა სასაფლაოზე. ჩამოურთმევიათ ცხენი უნაგირით, აუწერიათ მთელი ქონება და დაუბეჭდიათ... ასეთია ჩვენ[illegible] მიღებული ცნობები, საიდანაც ცხადია საქმის ვითარება. საჭიროა დაინიშნოს ფიცხელი და საგანგებო გამოძიება, რომ გამოაშკარავდეს სოფლის ბნელი ძალები.

დასასრულ, განსვენებულის დასახასიათებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ის 17 წელი იყო სახალხო მასწავლებლად; დიდი პატივი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული მთელ ქართლში და საქართველოში. ის წევრი იყო საქ. სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტიის და 1905 წ. გადასახლებულიც იყო ოლონეცის გუბერნიაში და დაუნგრიეს სახლ-კარი.

# მიხედეთ სოფელს

ბევრი რამ დაწერილა სოფლის ჭირვარამზე. არა ერთხელ აქცეყვანებულა ხმა იმის შესახებ, მაგრამ აქამდის არავითარი რეალური შედეგები არ ძოუყვა და როგორც იტყვიან დარჩა „ხმათ მღაღადებელის უდაბნოსა შინა".

საზოგადოებამ კარგად უწყის, რომ დასავლეთი საქართველო ჯერ კიდევ წინათ ხანგრძლივმა გვალვამ და შემდეგ კი ხშირმა წვიმებმა მოსალოდნელ შიმშილის წინ დააყენეს. განსაკუთრებულ გაჭირვებას და სიმშილს განიცდის, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით სამტრედიის რაიონი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 30—40 ათასს. არის სოფლები სადაც არ მოიპოვება არც ერთი გლეხი, რომელსაც საყოფი ეჩინოს ძოუყვაზე, ხოლო ხშირია ისეთები, რომლებიც ერთი თვეა უკვე დაიწყეს სიმინდის ყიდვა; მათ ძიაქვთ ყველაფერი რაც კი გააჩნია გლეხს მეზობელ სადგურებზე, სადაც ხოგის გაჭირვებამ იძულა მიიდწია; რომ ერთხოვებიან სოფლის მუშაობისთვის ძვირფას გუთნს, მარჩენალს—ხარებს, ძროხებს და სხვა ოთხ-ფეხ საქონლებს.

რასაკვირველია, ყველა ამას აიძულებს მათ სიმშილის მოლოდინი, სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიქტი. მაგრამ აქაც დაბრკოლება ეღობება საწყალ გლეხს წინ. მას, თანახმად ადგილობრივი ხელ ის უფლეთა განკარგულებისა, ესპობათ საშუალება შეძენილ სიმინდი რკინის გზით სახლში მოტანისა და ცოლშვილის გამოკვებისა. შესაძლებელია ამასაც ამასაც თავის გასამართლებელი მოსაზრება ქონდეს თავისთავად, მაგრამ ერთად იბადება საკითხი რა ზომას უნდა მიმართონ რა საშუალება უნდა გამოძებნონ იმ გლეხებმა, რომლებიც დღეს განიცდიან სიმშილს?

ხალხი უიმედობით არის მოცული და უაღრესად პესიმისტური სულისკვეთებით გამსჭვალული, რასაც აძლიერებს და ნიადაგს უმზადებს პროვოკაციული ხმები, რომლებსაც, რასაკვირველია, ასეთ პირობებში ადვილი გასავალი აქვთ. ცხადია, რომ სკოლის, სამკითხველოს და საერთოდ ყოველგვარი კულტურული მუშაობა ძლიერ შეფერხებულია და ერთად ერთ ზრუნვის და საფიქრებულ საგანს გლეხებისათვის შეადგენს სიმინდი.

საჭიროა საჩქაროთ მთავრობამ, ნარკომზემის კომისარიატმა და ყველამ, ვისაც შესტკივათ გული და საშუალება აქვთ გაუწიონ სასწრაფო დახმარება ხსენებულ რაიონს, რათა მიეცეს მათ საშუალება შესწყვიტონ გაყიდვა იმ აუცილებელ საგნებისა, ურომლისოთაც ყოვლად წარმოუდგენელია გლეხ კაცის ცხოვრება.

დაგვიანება კი ცუდ სამწუხარო შედეგების მოწამეთ დაგვაყენებს.

პოკნაროელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.